



ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

სს მისო ქართული კრედიტი

JSC MFO Georgian Credit

საზოგადოების წესდება

Company Charter

მუხლი 1. სახელი და საქმიანობის ადგილი

1.1 სახელი. საზოგადოება წარმოადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მისი სრული სახელწოდებაა სს მისო ქართული კრედიტი (შემდგომში „საზოგადოება“).

1.2 საქმიანობის ადგილი. საზოგადოების რეგისტრირებული მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი 30, 0177 თბილისი, საქართველო. ელ-ფოსტა: info@geocredit.ge.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის საგანი

2.1. საქმიანობის საგანი. საზოგადოების საქმიანობის საგანია სესხების გაცემა, მიკრო დაფინანსება, მიკროლიზინგი, მიკროდაზღვევა, სალომბარდო და სხვა ბიზნეს საქმიანობა საბანკო-საფინანსო სფეროში, ასევე, ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. საზოგადოება დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

2.2. ფართო ინტერპრეტაცია. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობის საგანთან, მათ შორის, მესამე მხარის ვალდებულების გარანტირობა, შვილობილი კომპანიების დაფუძნება საქართველოსა ან/და მის ფარგლებს გარეთ, საწარმოთა ყიდვა-გაყიდვა.

მუხლი 3. აქციები

3.1. რაოდენობა. საზოგადოების ნებადართული აქციების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3.000.000 (სამი მილიონი) აქციას. ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი.

3.2. გადახდის წესი. აქციები შეიძლება გადაცემა მხოლოდ თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში. აქციები გაიცემა მხოლოდ ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება. თუ აქციის გაცემა ხდება არაფულადი აქტივის სანაცვლოდ, მოცემული აქტივის შეფასება წინ უნდა უსწრებდეს აქციათა გადაცემას/გამოშვებას.

მუხლი 4. უპირატესი შესყიდვის უფლება აქციების გამოშვებისას

4.1. აქციების გამოშვებაში მონაწილეობის უფლება. ჩვეულებრივი აქციების ემისიის შემთხვევაში ნებისმიერ აქციონერს უფლება აქვს შეისყიდოს (იგივე პირობებით, როგორც ყველა სხვა

Article 1. Name and Registered Place of Business.

Section 1.1. Name. The Company is the Micro financial Institution and bears the name: JSC MFO Georgian Credit (hereinafter “the company”).

Section 1.2. Place of Business. The Company’s registered place of business is: 30 Kazbegi ave. 0177 Tbilisi, Georgia. The e-mail address of the company is: info@geocredit.ge.

Article 2. Business Object of the Company.

Section 2.1. Business Object. The object of the Company is issuing micro loans, micro-financing, micro-leasing, micro-insurance, pawn, pledge and other businesses activities, situated both in Georgia and abroad, operating in the field of banking and financing, and any other activities permitted by the Georgian legislation. The Company shall exist for an unlimited period.

Section 2.2. Broad Interpretation. The Company is authorized to do whatever is useful or necessary to attain its objectives or is connected therewith in the widest sense of the word, including the guaranteeing of third-party debts, the establishing of subsidiaries in Georgia or abroad and the purchase or sale of business enterprises.

Article 3. Shares.

Section 3.1. Amount. The maximum quantity of the authorized shares shall be 3.000.000 (three million) shares with the nominal value of one Georgian Lari per share.

Section 3.2. Payment for Shares. Shares may only be issued against payment in full. Unless otherwise agreed, payment for shares must be made in cash. If shares are to be issued in exchange for a contribution other than in cash, the value of contributed assets must be made prior to the issuance of shares.

Article 4. Pre-emption Rights upon Issue of Shares.

Section 4.1. Right to Participate in Share Issuances. Upon issue of any ordinary shares, each shareholder shall have the right to purchase

მყიდველს) გამოშვებული აქციების ის პროცენტული წილი, რომელიც ტოლია მის მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა გაყოფილი გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საერთო რაოდენობაზე - პრო-რატა.

4.2. გამონაკლისი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე. აქციონერებს არ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება შემდეგ აქციებთან მიმართებაში:

(ა) ნებისმიერი აქცია, რომელიც გამოშვებულია გარკვეული მიზნობრივი ოფციით ან სხვა საკომპენსაციო არგუმენტით პარტნიორთა საერთო კრების (შემდგომში „საერთო კრება“) გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის დროსაც აქციები გადაეცემათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, დირექტორთა საბჭოს წევრებს, დაქირავებულებს ან საზოგადოების კონსულტანტებს, ან

(ბ) ნებისმიერი აქცია, რომელიც გამოშვებულია შერწყმის/შესყიდვის ან/და ნებისმიერი სხვა ტრანზაქციისათვის, რომლის პირობები დამტკიცებულია საერთო კრების მიერ.

4.3. შეტყობინება აქციების ემისიის შესახებ. საზოგადოებამ თითოეულ აქციონერს წერილობით (დასაშვებია ელ-ფოსტითაც) უნდა შეატყობინოს აქციების ემისიის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება უნდა შეიცავდეს ემისიის მიზნობრიობას, ვადებსა და პირობებს.

4.4. უპირატესი შესყიდვის უფლების გამოხატვა. აქციონერებს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების დასაფიქსირებლად (დასაშვებია ელ-ფოსტითაც) უნდა განესაზღვროთ არანაკლებ 30 დღიანი ვადა შეტყობინების მიღებიდან. თუ აღნიშნული უფლების გამოყენების თაობაზე პასუხი არ დაფიქსირდება 30 დღის ვადაში, აღნიშნული ავტომატურად ჩაითვლება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარის თქმად.

4.5. ანაზღაურება. აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ (ემისიის შესახებ შეტყობინებიდან 30 დღის შემდეგ) აქციონერებს, რომლებმაც ნება გამოხატეს უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე, უნდა განესაზღვროთ არაუმეტეს 15 დღიანი ვადა ნასყიდობის საფასურის გადასახდელად.

4.6. გვიანი უარი. თუ აქციონერი უარს იტყვის ტრანზაქციის განხორციელებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, იგი ვალდებულია ჯარიმის სახით გადაუხადოს საზოგადოებას მის მიერ უარნათქვამი ტრანზაქციის ღირებულების 5%. იმ შემთხვევაში

issued shares pro-rata (on the same terms as all other purchasers in the issuance) a percentage of the shares issued equal to the number of shares owned by such shareholder divided by the total number of outstanding ordinary shares.

Section 4.2. Exceptions to Pre-emption Rights. Shareholders shall not have pre-emption rights in connection with

(a) any shares issued pursuant to an option plan or other compensation arrangement adopted by a General Meeting of the Shareholders (a “General Meeting”) whereby options are granted to the members of Supervisory Board, members of Management Team, employees or consultants of the Company, or

(b) Any shares issued in connection with a M&A or any other transaction, the terms of which have been approved by the General Meeting

Section 4.3. Notice of Issuance. The Company shall notify each shareholder in writing (including e-mail) about the issuance of shares. This notification should include all the reasons, terms and conditions of the issuance.

Section 4.4. Exercising pre-emption right. Shareholders shall have at least 30 days from receiving the notification about the share issuance to exercise its pre-emption right (including e-mail). If the response isn’t submitted in 30 days, it automatically means the refusal of the pre-emption right.

Section 4.5. Payment. After the final allocation of shares (30 days from notification about the increase of shares) the shareholders, who have exercised its pre-emption right, shall have maximum 15 days to make the payment.

Section 4.6. Late cancelation. If the shareholder cancels the transaction after the final allocation of shares, he shall be obliged to pay to the Company the penalty in amount of 5% of the transaction value he has rejected. If the shareholder refuses to

თუ აქციონერი უარს იტყვის ჯარიმის გადახდაზე, საზოგადოება უფლებამოსილია მოთხოვნა დაიკმაყოფილოს აქციონერის საკუთრებაში არსებული აქციების ხარჯზე ტრანზაქციის ფასში.

მუხლი 5. წილის გაყიდვა

5.1. წილის გაყიდვა. თუ რომელიმე აქციონერს სურს გაყიდოს, გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს მისი წილი, ნაწილობრივ ან სრულად ყველა აქცია (ასეთ მხარეს ეწოდება „გამყიდველი“), სხვა აქციონერებს (მათ ეწოდებათ „წინადადების მიმღებები“) ექნებათ ამ წილის (შემდგომში „შეთავაზებული აქციები“) შესყიდვის უპირატესი უფლება.

5.2. გაყიდვის შეტყობინება. „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს თითოეულ აქციონერს („წინადადების მიმღებებს“) მისი განზრახვის შესახებ - გაყიდოს მისი წილი სრულად ან ნაწილობრივ. შეტყობინება უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით, დასაშვებია ელ-ფოსტითაც. ზემოაღნიშნული შეტყობინება („გაყიდვის შეტყობინება“) მოიცავს:

- (i) აქციების რაოდენობას, რომელსაც ფლობს გამყიდველი;
- (ii) შეთავაზებული აქციების რაოდენობას, სახეობას, ფასს, გაყიდვის პირობებსა და ინფორმაციას მყიდველის შესახებ;
- (iii) ხელშეკრულება (შეთანხმება, შეთავაზება, მემორანდუმი და ა.შ.) პოტენციურ მყიდველთან აქციათა ნასყიდობის თაობაზე.

5.3. ყიდვის შეთავაზება. „წინადადების მიმღებებს“ შეუძლიათ გაყიდვის შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში პირადად გადასცენ ან გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება (დასაშვებია ელ-ფოსტით) მყიდველს. ამ შეტყობინებაში („ყიდვის შეტყობინება“) აღნიშნული უნდა იყოს, რომ წინადადების მიმღებებს სურთ შეისყიდონ შეთავაზებული აქციები მათი წილის პროპორციულად, ან რომ მათ არ სურთ აქციების შესყიდვა. თუ წინადადების მიმღები „ყიდვის შეტყობინებას“ არ გააგზავნის, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი განაცხადა „შეთავაზებული აქციების“ შესყიდვაზე. საზოგადოება ვალდებულია, აცნობოს „წინადადების მიმღებებს“, რომლებმაც თანხმობა გამოხატეს „ყიდვის შეტყობინების“ მიღებაზე (შემდგომში „აქცეპტანტი“) და შესთავაზოს ის აქციები, რომლებიც არ იქნა შესყიდული დანარჩენი აქციონერების მიერ. თითოეული „აქცეპტანტი“

pay the penalty, the Company has the right to execute the penalty from the shares of the shareholder at transaction price.

Article 5. Selling of shares

Section 5.1 Sell of shares. If any of the Shareholders wishes to sell, transfer or otherwise dispose of any or all of his/her Shares (such party being called the "Seller"), the other Shareholders (the "Offeree") shall have a pre-emption right to buy such Shares (the "Offered Shares").

Section 5.2 Selling Notice. The Seller shall give to each shareholder (the "Offerees") notice in writing of his/her/its desire or intention to sell all or any of his/her/its shares to them. Such notice shall be given in writing, including e-mail. This notice (the "Selling Notice") shall set out:

- (i) the number of Shares beneficially owned by the "Seller";
- (ii) the number and class of Shares which make up the "Offered Shares", the price and the terms and conditions of the sale of the "Offered Shares", details of the buyer.
- (III) Agreement (offer, LOI, MOU..) with the potential buyer about the selling of shares.

Section 5.3 Buying Notice. Each "Offeree" may, within a period of thirty (30) days next following the date when the Selling Notice has been received, give written notice (including e-mail) to the "Seller". This notice (the "Buying Notice") shall state either that such "Offeree" is willing to purchase the "Offered Shares" pro rata with the number of shares he/she holds, or that he/she is not willing to purchase the "Offered Shares". If an "Offeree" fails to give the Buying Notice he/she will be deemed to have refused to purchase the "Offered Shares". The Company shall inform the „Offerees“ who accepted to the Selling Notice (each an "Accepting Offeree") and offer the shares which have not been purchased by other shareholders. Each „Accepting Offeree“ may decide, again on a pro rata basis, buy those shares which have not been sold to other shareholders. In

უფლებამოსილია შესყიდოს დარჩენილი აქციები, კვლავ წილთა პროპორციულობის გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოოდ, „ყიდვის შეტყობინება“ უნდა გულისხმობდეს გასაყიდი აქციების შესყიდვას ერთი ან რამდენიმე აქციონერის მიერ სრულად, „გაყიდვის შეტყობინების“ პირობების შესაბამისად.

5.4. ტრანზაქცია. „შეთავაზებული აქციების“ ალოკაციის შემდეგ („გაყიდვის შეტყობინების“ მიღებიდან 30 დღის შემდეგ) მხარეები ტრანზაქციის დასასრულებლად შეთანხმდებიან გონივრულ ვადაზე. აღნიშნული ვადა უნდა იყოს არანაკლებ 2 კვირისა და არაუმეტეს 2 თვისა აქციათა ალოკაციის დღიდან, თუ გარე პირთან არსებული შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული უფრო დიდი ვადა ტრანზაქციის დასასრულებლად.

5.5. ტრანზაქციის გაუქმება. თუ „აქცეპტანტი“ უარს იტყვის გარიგების დასრულებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, მას ჯარიმის სახით დაეკისრება „გამყიდველისათვის“ მის მიერ უარნათქვამი გარიგების ღირებულების 3%-ის გადახდა. იმ შემთხვევაში თუ, „გამყიდველი“ უარს იტყვის გარიგებაზე ან გარიგების დასრულებაზე აქციათა საბოლოო გადანაწილების შემდეგ, მას დაეკისრება „აქცეპტანტ(ებ)ისთვის“ ჯარიმის სახით 3%-ის გადახდა. ამასთან, „გამყიდველს“ შეეზღუდება ერთი წლის განმავლობაში აქციათა გასხვისება უფრო მაღალ ფასში.

5.6. ხელახალი შეთავაზება. თუ „წინადადების მიმღებნი“ ამ წესდების დებულებების შესაბამისად არ შეისყიდნიან „შეთავაზებულ აქციებს“, მაშინ გამყიდველს ეძლევა უფლება მიყიდოს შეთავაზებული წილი გარე პირს, რომელიც მან წარმოადგინა თავდაპირველად, იმ ფასად ან იმაზე მეტად და იმ პირობებით, რომელიც „გაყიდვის შეტყობინებაში“ იყო მითითებული. თუ „გამყიდველი“ შეცვლის მიყიდველს ან გარიგების რაიმე პირობას, ის ვალდებულია განახორციელოს ხელახალი შეთავაზება.

თუ უკანასკნელი ყიდვის შეტყობინების მიღებიდან, სადაც მითითებულია, რომ წინადადების მიმღები უარს ამბობს შეთავაზებული აქციების შესყიდვაზე, 60 დღის განმავლობაში გამყიდველმა ვერ მიიღო გარე პირისაგან აქციების შესყიდვის უპირობო წინადადება და ვერ დაასრულა გარეზე პირზე შეთავაზებული აქციების მიყიდვის ოპერაცია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან

any case, the finally Buying Notice shall remain the purchase in whole amount of the Offered Shares by one or more shareholders according to the terms and conditions of the Selling Notice

Section 5.4. Transaction. After the allocation of “Offered Shares” (30 days after the Selling Notice) the parties agree on the reasonable terms to finish the transaction. The time frame should be between 2 weeks and 2 month time period after share allocation, if the agreement with outsider buyer doesn’t allowed more time for the transaction.

Section 5.5 Cancellation of transaction. If the “Accepting Offeree” fails to execute the transaction after the final allocation of shares, he/she/it shall be obliged to pay to the “Seller” a penalty in amount of 3% of the transaction value he/she/it fails to close the transaction. If the “Seller” cancels the transaction after the final allocation of shares or fails to close the transaction, he/she/it shall be obliged to pay to the “Accepting Offeree/s” a penalty of totally 3% of the transaction value he/she/it has rejected and can not offer the shares for sale for the increased price within a year.

Section 5.6 New Offer. If the “Offerees” by reason of the provisions hereinbefore contained, do not purchase the “Offered Shares” then the Seller shall be at liberty to sell the “Offered Shares” to an Outsider, who was previously presented, but only at a price equal to or in excess of the price contained in the Selling Notice and on the same terms as disclosed in the Selling Notice. If the “Seller” changes the buyer or any term and condition of the transaction, he is obliged to submit new notification.

If, within sixty (60) days of the date of receipt of the last Buying Notice by the “Seller” indicating the refusal of the “Offerees” to purchase the “Offered Shares”, the “Seller” has not completed the sale of the Offered Shares to the Outsider including the changes in shareholders register, then the rights of the “Offerees” shall revive in

რეგისტრაციის ჩათვლით, მაშინ წინადადების მიმღებთა უფლებები შეთავაზებულ აქციებთან მიმართებაში კვლავ განახლდება და თუ, გამყიდველს ისევ სურს გაყიდოს აქციები, ის კვლავ აგზავნის გაყიდვის შეტყობინებას 5.2 პუნქტის შესაბამისად და ა.შ.

5.7. გარეშე პირის მიერ აქციების შექენა. გარეშე პირისგან აქციების შესყიდვის ნებისმიერი შეთავაზება უნდა შეიცავდეს პირობას, რომ იგი თანახმაა, გახდეს წინამდებარე წესდების მონაწილე მხარე აქციების შესყიდვის შემდეგ.

5.8. გამყიდველის უფლებების დაცვა. თუ არსებობს შემოთავაზება საზოგადოების კაპიტალის 80 პროცენტზე მეტის შექენის თაობაზე და აქციონერებს, რომლებიც ფლობენ კუმულაციურად 66.67 პროცენტს სურთ შეთავაზების მიღება, უმცირესობაში მყოფი აქციონერები ვალდებული არიან შეუერთდნენ გარიგებას. უმცირესობაში მყოფ აქციონერებს უნდა შესთავაზონ იგივე ფასი და პირობები (თუ არსებობს რამოდენიმე მინორიტარი ისინი გარიგებას შეუერთდებიან მათი წილის პროპორციულად). უმცირესობაში მყოფ აქციონერებს, რომელთაც არ სურთ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა, აქვთ გასაყიდი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება მიღებული შეთავაზების პირობების შესაბამისად.

5.9. უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების დაცვა. თუ არაუმეტეს ორმა აქციონერმა მიიღო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტის ყიდვის შეთავაზება, უმცირესობაში მყოფი აქციონერები უფლებამოსილნი არიან შეუერთდნენ გარიგებას აღნიშნულის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. თუ მყიდველი არ იქნება თანახმა, შეისყიდოს უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილიც, აქციონერ(ებ)ი (რომელთაც სურთ წილის გაყიდვა) ვალდებული არიან გაყიდონ აქციები მათი წილების პროპორციულად.

მუხლი 6. დირექტორთა საბჭო.

6.1. მიზანი და რაოდენობა. საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭო, შედგარი ერთი ან რამოდენიმე წევრისაგან, სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ. დირექტორთა საბჭოს რაოდენობას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვაზე. კომპანიის წარმომადგენელია გენერალური დირექტორი. კომპანია შესაძლებელია წარმოადგინოს ასევე,

respect of the “Offered Shares” and if the Seller shall thereafter desire to sell any of his/her Shares s/he shall again give notice pursuant to Article 5.2 and so on.

Section 5.7 Outsider Buyer. Any offer to purchase Shares from an Outsider must include the condition that the Outsider agrees to become a party to this charter pursuant to the purchase of the Shares.

Section 5.8 Protection of Seller Rights. If there is an offer to buy more than 80 percent of share capital of the Company and the shareholder(s) handling at least cumulatively 66.67 percent are willing to take an offer, the minority shareholder/s is/are obliged to join the sale. The minority must be given the same price and conditions (if there are several minority shareholders they join the selling pro-rata). The minority shareholders, who aren't willing to sell the shares have the pre-emption right in accordance to the terms and conditions of the offer.

Section 5.9 Protection of Minority Rights. If not more than two shareholders have a selling offer of more than 50 percent of total share capital of the Company, the minority shareholders have the right to join the selling process by providing written notice. If the buyer will not agree to buy the shares in amount of willingness of other shareholders totally, the shareholder(s) (who is/are willing to sell) shall sell the shares pro rata.

Article 6. Management Team

Section 6.1. Purpose and Number. The Company shall be managed by a Management Team, consisting of one or more members, under supervision of the Supervisory Board. The number of Management Team members shall be determined by the Supervisory Board. The Management Team shall be responsible for managing the day-to-day business of the Company. The company is represented by the CEO. The

დირექტორთა საბჭოს სხვა წევრმა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.2. გენერალური დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭომ დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი უნდა დანიშნოს აღმასრულებელ დირექტორად (გენერალური დირექტორი).

6.3. დანიშვნა და ანაზღაურების განსაზღვრა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დირექტორთა საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ამავე დროს განსაზღვრავს მათ ანაზღაურებასა და დასაქმების სხვა პირობებს.

6.4. დირექტორთა საბჭოს ფუნქციონირება. დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შინაგანაწესს ადგენს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო თავად განსაზღვრავს მისი საქმიანობის შინაგანაწესს, თუ სამეთვალყურეო საბჭომ არ დააწესა ამგვარი. დირექტორთა საბჭოში გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა მარტივი უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება გენერალურ დირექტორს. დირექტორთა საბჭოს სხდომა შესაძლებელია გაიმართოს სატელეფონო კონფერენციისა და სხვა აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებით, მათ შორის ვიდეო კონფერენციის გზით, თუ დაცულია პირობა, რომ სხდომის ყველა მონაწილეს ერთდროულად ესმის ერთმანეთის.

მუხლი 7. სამეთვალყურეო საბჭო.

7.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა. სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭო თავად განსაზღვრავს წევრების რაოდენობას. საბჭო წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს.

7.2. სამეთვალყურეო საბჭოს როლი. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია სტრატეგიის შემუშავებასა და რისკების მართვაზე, დირექტორთა საბჭოსთვის ძირითადი პირობებისა და კომპეტენციის ფარგლების დადგენასა და ზედამხედველობაზე. ამავე დროს იგი მიმართულებას აძლევს დირექტორთა საბჭოს მუშაობას. მოვალეობების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

company can also be represented by other member of the Management Team if so determined by the Supervisory Board.

Section 6.2. General Director. The Supervisory Board shall appoint one of the members of the Management Team as the CEO (General Director).

Section 6.3. Appointment and Compensation Determined by Supervisory Board. Members of the Management Team shall be appointed and may be dismissed by the Supervisory Board. The salary and the other terms of employment of the members of the Management Team shall be determined by the Supervisory Board.

Section 6.4. Operation of Management Team. Supervisory Board sets the rules of internal procedures for the Management Team. If the Supervisory Board fails to pass the rules of internal procedures the Management Team shall prepare and approve such rules itself. Resolutions of the Management Team shall be adopted by a simple majority of votes. In the event of a tie, the CEO shall have the deciding vote. Meetings of the Management Team may be held by telephone conference as well as by any other audiovisual communication facilities, including video conferencing, provided all participating members of the Management Team can hear each other at the same time.

Article 7. Supervisory Board.

Section 7.1 Number of Supervisory Board Members. The Supervisory Board shall have at least three members but not more than seven members. The Supervisory Board shall determine the number of Supervisory Board members. The Supervisory Board shall elect a Chairman and Vice-Chairman from among its members.

Section 7.2. Role of Supervisory Board. The Supervisory Board shall be responsible for adoption of the strategy and risk management, set up of general terms and frames for the Management Team and its supervision. The Supervisory Board shall also counsel the Management Team. In the performance of their duties, the members of the Supervisory Board shall be guided by the interests

ხელმძღვანელობენ საზოგადოების ინტერესებით. დირექტორთა საბჭომ დროულად უნდა მიაწოდოს სამეთვალყურეო საბჭოს მისი მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია.

7.3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ აქციონერები საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა უნდა მოხდეს აქციონერების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების დასახელების შემდეგ. დარჩენილი ადგილები (თუ ასეთი არსებობს) დასახელებულ კანდიდატთა სია მოცემული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში. საერთო კრებაზე, კანდიდატის დასახელება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: (i) კანდიდატის ასაკს, (ii) მის პროფესიას, (iii) ნებისმიერი აქციების რაოდენობასა და სახეობას, რომელსაც ის ფლობს კომპანიაში, (iv) ინფორმაცია მისი ნასამართლეობის შესახებ, მათ შორის: თაღლითობაში, მოტყუებასა ან მოვალეობის შეუსრულებლობაში, (v) თანამდებობების ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატს ეკავა ბოლო ხუთი წლის მანძილზე (სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოს ჩათვლით) და (vi) ნებისმიერი ხვა ინფორმაცია, რომელიც არსებითია კანდიდატის მიერ დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასებაში.

7.4. ვადა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევენ არაუმეტეს ოთხი წლის ვადით 2/3 ხმების უმრავლესობით საერთო კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრი შესაძლებელია განუსაზღვრელად იქნას ხელმეორედ არჩეული. ნებისმიერი წევრი, რომელიც ინიშნება შუალედური ვაკანსიის შესავსებად, მუშაობას გააგრძელებს მისი წინამორბედის დარჩენილი ვადის განმავლობაში. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება გათავისუფლდეს ან სამეთვალყურეო საბჭო შეიძლება დათხოვნილ იქნას მთლიანად, მიზეზით ან უმიზეზოდ, საერთო კრებაზე აქციათა 2/3-ის მფლობელთა გადაწყვეტილებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისათვის ოთხი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ან (თუ თვითონ თავმჯდომარე ტოვებს თანამდებობას) თავმჯდომარის

of the Company. The Management Team shall promptly provide the Supervisory Board with the information required for the performance of its duties.

Section 7.3. Election of Members of Supervisory Board. Members of the Supervisory Board shall be elected by shareholders at the General Meeting. The election of members of the Supervisory Board shall be made following a nomination made by the Supervisory Board or any shareholder. The nomination shall be included in the notice convening the General Meeting in which the appointment shall be proposed. A nomination to the General Meeting for a candidate for the Supervisory Board shall state (i) the candidate's age, (ii) his profession, (iii) the amount and nature of any shares he holds in the Company, (iv) any convictions for any crimes involving dishonesty, fraud or breach of trust, (v) the positions he holds or has held in the past five years (including memberships on any Supervisory Boards or Management Teams) and (vi) any other information relevant to assess his suitability as a member of the Supervisory Board. The recommendation or nomination for appointment or reappointment shall state the reasons for the nomination or recommendation.

Section 7.4. Terms. Members of the Supervisory Board shall be elected for terms not to exceed four years by the 2/3 of total votes at a General Meeting. Any member of the Supervisory Board can be unlimited re-elected. Any member of the Supervisory Board, appointed to fill an interim vacancy, which has arisen, shall serve the remainder of the term of his predecessor. Any member of the Supervisory Board or the entire Supervisory Board may be removed, with or without cause, by the holders of a 2/3 majority of the shares at a General Meeting. A Supervisory Board member may resign from office with four weeks' prior notice, by means of written notification to the Chairman of the Supervisory Board. The Chairman of the Supervisory Board or (if the Chairman is himself resigning) the Vice-Chairman may consent to a shorter period of notice.

მოადგილეს შეუძლია უფრო ადრე (4 კვირამდე ვადაში) დათანხმდეს მიღებულ შეტყობინებას.

7.5. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები; ქვორუმი. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა ტარდება, მისი თავმჯდომარის, ორი წევრის ან დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ 4-ჯერ წელიწადში. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოწვეულ უნდა იქნას წერილობით (დასაშვებია ელ-ფოსტით) არანაკლებ 8 დღით ადრე. სხდომები შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო კონფერენციის სახით ან სხვა აუდიო-ვიზუალური საშუალების გამოყენებით, მათ შორის ვიდეოკონფერენციის გზით, თუ დაცულია პირობა, რომ სხდომის ყველა მონაწილეს ერთდროულად ესმის ერთმანეთის. წელიწადში არანაკლებ 2 სხდომა უნდა ჩატარდეს საზოგადოების ოფისში. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა მარტივი უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილის ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება ან წარმოდგებილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილების მისაღებად ქვორუმი შედგება ხმათა მარტივი უმრავლესობით.

7.6. წერილობითი თანხმობა. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტით) ფორმით, იმ პირობით თუ წინადადება წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს და არც ერთი წევრი არ იქნება წინააღმდეგი გადაწყვეტილების ამ ფორმით მიღებაზე. გადაწყვეტილების მიღება წერილობითი ფორმით ხდება ხმათა მარტივი უმრავლესობით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ მოწერილი პოზიციების შესაბამისად.

7.7. დირექტორთა საბჭოს წევრთა დასწრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოს წევრები ესწრებიან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფენ ნებისმიერ მოთხოვნილ ინფორმაციას.

7.8. ანაზღაურება და ხარჯები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურებას განსაზღვრავს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო საერთო კრებას წარუდგენს წინადადებებს ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა

Section 7.5. Meetings of Supervisory Board; Quorum. The Supervisory Board shall meet whenever the Chairman of the Supervisory Board, two of its members or the Management Team requests, at least 4 times per year. For the Supervisory Board meeting the notice shall be given in writing (including e-mail) prior to 8 (eight) days at least. These meetings can be held by telephone conference as well as by any other audiovisual communication facilities, including video conferencing, so long as all participating members of the Supervisory Board can hear each other at the same time. At least 2 meetings in the year shall take place at the company's seat. Resolutions shall be adopted by a simple majority of votes. In the event of a tie, the Chairman of the Supervisory Board shall have a deciding vote and in his absence, the vice-chairman. At a meeting, the Supervisory Board may only pass resolutions if the majority of the Supervisory Board members are present or represented. The quorum and minimum votes for decision making for the Supervisory Board meeting is the simple majority of total votes.

Section 7.6. Written Consent. Supervisory Board resolutions may also be adopted in writing (included e-mail), provided the proposal concerned is submitted to all Supervisory Board members and none of them objects to this form of adoption. Adoption of resolutions in writing shall be effected by statements in writing by the simple majority of the Supervisory Board members.

Section 7.7. Attendance by Management Team. The members of the Management Team shall, if the Supervisory Board requests them to do so, attend the meetings of the Supervisory Board and provide that meeting with any information requested by that Board.

Section 7.8. Compensation and Expenses. The compensation of the Supervisory Board members is determined by the General Meeting. The Supervisory Board shall submit proposals on its compensation to the General Meeting. Members of

აუნაზღაურდეთ სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებული ყველა გონივრული ხარჯი.

